

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი

26.07.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბოჭორიშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

აკაკი ხელაძე - შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

ქეთევან ცხადაძე - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი;

ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი;

რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;

გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;

პაატა შურღაია - შპს "გრანტ თორნთონის ბიზნეს პროცესების" გადაწყვეტილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

საბჭოს მოწვეული წევრები:

გიორგი ხუფენია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი;

პაატა იმნაძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში;

ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

ამირან გამყრელიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი;

შოთა ცანავა - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

მაია ხერხეულიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;

ზურაბ ხეცვარიანი - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის აბდომინური ონკოქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი;

მერაბ ბუაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი;

კახაბერ ჭელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დავით გაგუა - შპს - "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის" მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი;

გია ნემსაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურიატი, შპს "კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის" დამფუძნებელი;

ანა კაკაბაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

თინათინ დვალიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი:

შალვა პეტრიაშვილი - პროფესორი, რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

თეიმურაზ ხუროძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი;

ავთანდილ გაგნიძე - ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

ნინო შარაშენიძე - მედიცინის სკოლის დეკანი;

გია წილოსანი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

ქეთევან ხუროძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;

თინათინ დავლიანიძე - საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

ლელა ვანიშვილი - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მენეჯერი;

შალვა გიუაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

დავით იოსებაშვილი - მოწვეული პედაგოგი, კლინიკური გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი.

შპს ევროპის უნივერსიტეტი:

ლაშა კანდელაკიშვილი - რექტორი;

გოჩა თუთბერიძე - ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით;

მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

სოფიო ხუნდაძე - პროგრამების განვითარების სამსახურის უფროსი;

თამარ ზარგინავა - ვიცე რექტორი სერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

თამარ კერძაია - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;

ირინე სახელაშვილი - მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

ნათია ჯოჯუა - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

თორნიკე ხოშტარია - ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

იოსებ კელენჯერიძე - სამართლის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ლაშა ჩახვაძე - საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - სტრატეგიული განვითარების მენეჯერი;

მაია ადვაძე - რექტორის მრჩეველი;

გიორგი გაბისონია - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო კეკელიძე - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

გივი ბედიანაშვილი - გლობალიზაციის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

უმადლოსი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

სალომე ხუბულავა;

ხათუნა საგანელიძე;

ლილი ხეჩუაშვილი;

ნინო ბერიშვილი;

თამარ ვახტანგაძე;

სალომე მაგნიძე.

სხვა დამსწრე პირები:

ანა წამალაშვილი - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის 1^ა პუნქტის საფუძველზე სხდომას ესწრებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და საბჭოს მოწვეული წევრების ¾. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა, skype -ის საშუალებით სცადა ავტორიზაციის საბჭოსთვის წარედგინა საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ მოახერხა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შესაძლო ტექნიკური ხარვეზის გამო, წერილობითი ფორმით წარუდგინა ავტორიზაციის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, აღნიშნული კორესპონდენცია საბჭოს გააცნო, ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა ლალი გიორგიძემ. მილან პოლის მიმოხილვით, აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი იყო ახალგაზრდა ინსტიტუცია, რომელიც დაარსდა 2017 წლის ზაფხულში, სამხრეთ კავკასიის რამდენიმე უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად. დაწესებულებას გააჩნდა სურვილი განეხორციელებინა ორი ერთსაფეხურიანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურ და ქართულ ენებზე. მილან პოლის განმარტებით, ინსტიტუცია აპირებდა 150 სტუდენტის ჩარიცხვას, აქედან 25 იქნებოდა ქართველი, ხოლო 135 კი უცხოელი სტუდენტი. ამჟამად, ინსტიტუციას ჰყავდა 18 აკადემიური პერსონალი, აქედან 11 იყო აფილირებული, 35 კი მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 3.5 მლნ ლარს, საიდანაც დაახლოებით 61 ათასი ლარი მიმართული იყო კვლევითი აქტივობების დაფინანსებაზე. ასევე, ბიბლიოთეკაზე გათვლილი იყო 8500 ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ იგეგმებოდა კამპუსის მშენებლობა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ბაზაზე. თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტამდე გაეცნო ძირითად დოკუმენტაციას, რომელიც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მიერ. ვიზიტამდე, 30 აპრილს, ასევე შედგა მოსამზადებელი შეხვედრა. ვიზიტი კი განხორციელდა 1, 2 და 3 მაისს და ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულება ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით განსხვავებულად. ექსპერტებს გარკვეული რეკომენდაციები მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან დაკავშირებით ჰქონდათ. ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა გარკვეული შენიშვნები პერსონალის სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნაში ჩართულობასთან დაკავშირებით. ძირითადი რეკომენდაციები დაკავშირებული იყო საბიბლიოთეკო რესურსებთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ჯგუფმა შეაფასა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა ეროვნული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მილან პოლის მოხსენების გაცნობის შემდეგ, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტებს, რომ

წარმოედგინათ ძირითადი მიმოხილვა, სტანდარტების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ადგილობრივმა ექსპერტებმა:

- უზრუნველყავით, რომ დაწესებულების მისია ფართოდ იქნეს გაზიარებული საუნივერსიტეტო საზოგადოებაში.
- უზრუნველყავით, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მოიცავდეს აქცენტს დაწესებულების წვლილზე საზოგადოების განვითარებაში და ცოდნის გავრცელებაში (მაგალითად, საჯარო ლექციების, სოციალური და კულტურული ღონისძიებების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების აქტივობების ხელშეწყობის, საკონსულტაციო პროცესების მეშვეობით).
- უფრო დააკონკრეტეთ სამოქმედო გეგმის (2019-2021წწ.) ძირითადი აქტივობები N1 სტრატეგიული მიზნის შემთხვევაში. აღწერეთ შესრულების კრიტერიუმები 2019-2021წწ. სამოქმედო გეგმაში.
- დარწმუნდით, რომ სამოქმედო გეგმაში ძირითადი მიზნების შედეგები მეტწილად გაზომვადია.
- უზრუნველყავით, რომ სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებდნენ ეფექტიანად და კოორდინირებულად.
- უზრუნველყავით, რომ ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო მართავდეს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად.
- შეიმუშავეთ მკაფიო და ეფექტური პოლიტიკა სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მხარდასაჭერად.
- უზრუნველყავით, რომ ყველა სტრუქტურული ერთეულის რეგულაციები იყოს შემუშავებული. უზრუნველყავით დანიშვნის პროცედურის გამჭვირვალობა.
- უზრუნველყავით, რომ აკადემიური საბჭოს საკონსულტაციო ფუნქციები ეფექტურად შესრულდეს. დარწმუნდით, რომ სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები საკმარისადაა მოწესრიგებული. უზრუნველყავით, რომ მთელი პერსონალი იცნობდეს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტებს.
- იმუშავეთ სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკური სტრატეგიის შექმნაზე.
- უზრუნველყავით, რომ დაწესებულების დოკუმენტები იყოს დამოუკიდებლად შემუშავებული და არ წარმოადგენდეს სხვა დაწესებულებების მასალების ასლს.
- გადახედეთ დაწესებულების სტრუქტურულ ორგანიზაციას იმგვარად, რომ პროგრამების შემუშავების საბჭო/ჯგუფი ასრულებდეს ცენტრალურ როლს პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მიწოდებაში, ოფიციალური წარმომადგენლობით შესაბამისი დეპარტამენტიდან და უფრო მკაფიო ანგარიშვალდებულებით.
- გააუმჯობესეთ თანამონაწილეობითი პროცესი პროგრამის დაგეგმვაში, დიზაინში, შემუშავებასა და მიწოდებაში.
- უზრუნველყავით, რომ პროგრამის შემდგომი განვითარება ეფუძნებოდეს უმაღლესი განათლების უახლეს დარგობრივ მახასიათებლებს მედიცინაში.
- მოაწესრიგეთ უნივერსიტეტის მიდგომა და გაგება CBL-ს მიმართ.
- ჩამოაყალიბეთ სისტემატური მიდგომა პრობლემების/შემთხვევების შესამუშავებლად როგორც პრობლემაზე დაფუძნებული ჯგუფების, ისე შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლისათვის.
- შეიმუშავეთ საკომუნიკაციო უნარების კურიკულუმი, რომელიც ინტეგრირებული იქნება როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. გააფართოვეთ არჩევითი კურსების არჩევანი როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამაში.
- შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი შეფასების მოდელი.
- დაუყოვნებლივ მოახდინეთ შეფასების შემდეგ სფეროებში მუშაობის ინიცირება:

მართებული კითხვების ბანკის შექმნა; პედაგოგთა მომზადება კითხვების ჩამოყალიბებაში და ობიექტური, სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) პლატფორმის აგებაში; ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წრებრუნვის შემუშავება და პილოტირება ლოგისტიკისა და პრაქტიკის შესასწავლად; ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დამკვირვებლების ტრენინგი; ზეპირი გამოცდების, პორტფოლიოსა და აღრიცხვის ჟურნალების შეფასებისათვის კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ყველა გამოსაყენებელი მეთოდისათვის შესაბამისი სტანდარტების შექმნის სისტემის შემუშავება.

- გადახედეთ საგამოცდო ბილეთების შედგენის პროცესს იმგვარად, რომ მას ზედამხედველობდეს უფროსი აკადემიური პერსონალი.
- შემოიღეთ უფროსი აკადემიური თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შეფასების გრაფიკის დიზაინს, შემუშავებას, მიწოდებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.
- უზრუნველყავით, რომ აკადემიური, მოწვეული და მმართველი ორგანოები სრულიად იცნობდნენ შეფასების სისტემას.
- გადახედეთ აკადემიურ პოზიციებზე აკადემიური პერსონალის დანიშვნის პროცედურებს. უზრუნველყავით აკადემიური პერსონალის ჩართვა უნივერსიტეტის მართვის პროცესში.
- შეიმუშავეთ პროფესიული განვითარების სტრატეგია მთელი - აკადემიური, აფილირებული, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.
- დაადგინეთ სამიზნე ნიშნულები პერსონალისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის. განსაზღვრეთ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რათა თავიდან აიცილოთ გადაფარვა.
- გააუმჯობესეთ სწავლის პროცესში განათლების აღიარების წესის დოკუმენტი, კერძოდ განსხვავებული პროგრამიდან კრედიტების აღიარება.
- განავითარეთ გარემო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.
- შეიმუშავეთ სტუდენტების, კერძოდ უცხოელი სტუდენტების მიღების მკაფიო რეგულაციები.
- შეიმუშავეთ რეგულაციები ენობრივი კომპეტენციის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისათვის.
- შეიმუშავეთ რეგულაციები კონკრეტული სახის გამოცდებისათვის (მაგალითად OSCE-სთვის).
- დაადგინეთ სტუდენტური ბიუჯეტის მაკონტროლებელი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.
- დაადგინეთ დაწესებულების სტიპენდიების მინიჭებისა და დაკარგვის კრიტერიუმები.
- გადახედეთ კარიერული დახმარების გაწევის სტრატეგიას, სამედიცინო გამოცდილების მქონე პერსონალის ჩართვის კუთხით.
- სამეცნიერო უნარების კრედიტები კურიკულუმში გაზარდეთ უახლესი დარგობრივი სამიზნე ნიშნულების შესაბამისად.
- შექმენით კონკრეტული სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ექნება სამედიცინო კვლევითი პროცესების შემუშავების გამოცდილება.
- დაადგინეთ და შეიმუშავეთ საშუალებები, რომელთა მიხედვითაც კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტში დაუკავშირდება საქმიანობას კლინიკურ ცენტრებში და ინფორმაციას მიაწვდის სასწავლო პროგრამას.
- დაადგინეთ კვლევების ბიუჯეტის გამოყენების გეგმა.
- უზრუნველყავით საკმარისი კვლევითი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა.
- განსაზღვრეთ უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები.
- შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის ტრენინგის პროგრამა მათი სამეცნიერო-კვლევითი უნარების გასაზრდელად.

- დაადგინეთ კვლევების შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმები და წესები სხვადასხვა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.
- განზრახვის შესაბამისად, შექმენით კვლევების განვითარების დეპარტამენტი.
- უზრუნველყავით ადეკვატური საგანმანათლებლო სივრცეები, განსაკუთრებით ძირითადი საგნებისთვის.
- უზრუნველყავით საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვილობის გაუმჯობესება.
- უზრუნველყავით სტუდენტებისათვის რეკრეაციული (სოციალური) სივრცეების ხელმისაწვდომობა დაწესებულებაში.
- უზრუნველყავით კლინიკური უნარების სწავლებისა და პროცედურების ხელშემწყობი აღჭურვილობის (როგორებიცაა მანეკენები) ადეკვატური რაოდენობა დაგეგმილი რაოდენობის სტუდენტებისათვის.
- მნიშვნელოვნად გააუმჯობესეთ საბიბლიოთეკო რესურსები იმგვარად, რომ იგი აკმაყოფილებდეს როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტების რაოდენობას.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტის საკუთარი პოლიტიკა. ყველა კლინიკაში უზრუნველყავით სტუდენტებისათვის ადეკვატური ონ-ლაინ ობიექტების ხელმისაწვდომობა.
- გამოყავით საკმარისი სახსრები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების ეფექტურად განხორციელებისათვის.

ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, ბევრი შენიშვნა ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია, რადგან მისია და სტრატეგიული გეგმა შესაბამისი ფორმით იყო წარმოდგენილი. თუმცა, საჭირო იყო ეს დოკუმენტები გაცნობილი ყოფილიყო დაწესებულების პერსონალისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოდგენილი იყო დეტალურად, თანდართული ბიუჯეტის აღწერით. თუმცა, სტრატეგიის განსახორციელებლად, დაწესებულების ფინანსები არ იყო შესაბამისი. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ აქტივობებს, რომელსაც უნივერსიტეტი განახორციელებს საზოგადოების განვითარებას მიზნით. დაწესებულების მიერ, საზოგადოების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა დაწესებულების სახელწოდებით და იკითხა, თუ რატომ აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ რომ უნივერსიტეტი გარკვეულწილად ხიდი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; უცხოელი სტუდენტების უმეტესი ნაწილი იქნებოდა აღმოსავლეთიდან. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მუდმივ მუშაობას საჭიროებდა აკადემიურ საზოგადოებაში სტრატეგიის გაზიარება. ასევე, ინტერვიუების დროს, პერსონალის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ვერ გამოამჟღავნა მისი ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიური საბჭო ჯერ არ ფუნქციონირებდა. შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანო იყო უნივერსიტეტის გაერთიანებული კრება. ბიუჯეტიც და სტრატეგიული გეგმაც კი მიღებული იყო გაერთიანებულ კრებაზე, რომელშიც ჩართული იყო ყველა აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, ისინი ჩართულები იყვნენ ამ დოკუმენტების შემუშავების პროცესში. შესაბამისი შეხვედრების ოქმებიც არსებობდა, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო. ამ დოკუმენტების ირგვლივ ცოდნის გაზიარებას დაწესებულების მხრიდან მიეძღვნოდა ყურადღება, განსაკუთრებით ახალ თანამშრომლებთან მიმართებით. საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით კი, სამოქმედო გეგმაში მრავლად იყო წარმოდგენილი აქტივობები, თუმცა გამოკვეთილად ცალკე

აღნიშნული არ იყო, რომელიც მოგვიანებით დაწესებულებამ დააზუსტა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ შეფასების ინდიკატორები ყოფილიყო გაზომვადი. ავთანდილ გაგნიძე დაინტერესდა, როგორ უნდა შეფასებულიყო მაგალითად, საჯარო ლექციები, რა კრიტერიუმებით შეიძლებოდა შეფასებულიყო მათი მრავალფეროვნება, დამსწრეების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ მიმართულებით ანალიზი გაკეთდებოდა და შეფასდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა კონკრეტულად რომელი მიზნის ნაწილი იყო საჯარო ლექციები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის კონტრიბუცია - ამ მიზნის ნაწილი. აქ იყო საჯარო ლექციები და სხვადასხვა აქტივობები, თუმცა საჯარო ლექციები მხოლოდ მაგალითის სახით იყო ნახსენები.

საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით ტურიზმის სექტორი დიდი გამოწვევის წინაშე იდგა საქართველოში. შესაბამისად, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პირველად სამოქმედო გეგმაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას დიდი ყურადღება დაუთმო. საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად გაითვალისწინეს ეს გარემოება ექსპერტებმა.

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი კომპლექსი განთავსებული იყო ერთ ადგილზე, რომელსაც შეიძლებოდა ჰყოლოდა ერთი მფლობელი, არსებობდა რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). ეს იმას ნიშნავდა, რომ უსდ-ს მიერ ამ რესურსის გამოყენება და განვითარება ძალიან კარგი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, როგორც აფილირებული დაწესებულება ასე იყო მოხსენიებული ბალნეოლოგიური კურორტი. ეს იქნებოდა უნივერსიტეტის სტრატეგიაზე დამოკიდებული როგორ განავითარებდა აღნიშნულ ურთიერთობას.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა რამდენი დამფუძნებელი ჰყავდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ერთი და იგივე ხალხი ფიგურირებდა; ბალნეოლოგიური კურორტის დიდი რესტრუქტურისაცია მიმდინარეობდა და უნივერსიტეტს ჰქონდა დაგეგმილი ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. ეს იყო უნივერსიტეტის სტრატეგიის ნაწილი, თუმცა უფრო გრძელვადიანი, ჯერ კი პირველი ნაბიჯები იყო გადასადგმელი. მართალია, სხვადასხვა იურიდიული პირები იყვნენ, თუმცა ამ დაწესებულების ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გამხდარიყვნენ საუნივერსიტეტო კლინიკები.

საბჭოს წევრის რამაზ საყვარელიძის განცხადებით, საავტორიზაციო შეფასების ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენდა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები იყო არაერთგვაროვანი. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჯერ არ ჰქონდა დაწყებული ფუნქციონირება და ექსპერტები ითხოვდნენ აკადემიური საზოგადოების ინფორმირებას. მან აღნიშნა, რომ სხვა ინსტიტუციურ შეფასებებში ამ მიმართულებით ყოფილა შენიშვნა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არ დაუწევია შეფასება. ის დაინტერესდა, თუ რატომ არ შეფასდა უსდ სრულ შესაბამისობაში პირველ სტანდარტთან მიმართებით და რა გახდა გაკეთებული შეფასების საფუძველი, რადგან მისი თქმით, სტრატეგიისა და მისიის არცოდნა უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ არ იყო არსებითად მნიშვნელოვანი, შესაბამისად, ეს მიუთითებდა ექსპერტის ტენდენციურობაზე, რადგან მისიის გაუზიარებლობა უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ არ იყო საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ 5 ქულიან სისტემაში, დაწესებულებას ასეთი შეფასება მისცემოდა.



ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ უპასუხა, რომ როდესაც ინტერვიუს დროს არ ჩანდა დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან სტრატეგიის ცოდნა, ექსპერტები ვალდებულენი იყვნენ დაეწიათ სტანდარტის შესაბამისობა, თუმცა „მეტწილი შესაბამისობა“ ფაქტობრივად ნიშნავდა კარგ შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როდესაც უნივერსიტეტს შემოჰქონდა ავტორიზაციაზე განაცხადი, ის უნდა ყოფილიყო მზად, შეესრულებინა ყველა სტანდარტის მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ „მეიდან ჯგუფის“ ძირითადი წილის 75%-ის მფლობელი იყო ზაზა ნიშნიანიძე, რომელიც ასევე იყო უნივერსიტეტის დამფუძნებელი. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ, ეს ფაქტორი იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, სტრატეგიული განვითარების გეგმაში თუ ჰქონდათ აღნიშნული, აპირებდა თუ არა დაწესებულება სხვა პროგრამების დამატებას სამომავლოდ. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, ჯერჯერობით ეს იყო სასწავლო უნივერსიტეტი, მომავალში იმედი ჰქონდათ მიეცემოდათ საშუალება გაეკეთებინათ მენეჯმენტის პროგრამა, ასევე პროფესიული პროგრამები, მაგალითად, მასაჟისტის პროფესიული პროგრამა და ის პროფესიები, რომლებიც აღნიშნულ სფეროსთან იყო დაკავშირებული. ჯერჯერობით, კი სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსს დასჯერდებოდნენ. თუ გადაწყვეტიდნენ, დამატებით სადოქტორო პროგრამის გახსნას, ხელახლა შემოიტანდნენ განაცხადს.

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ საბჭოს წარმომადგენელს ექსპერტთა მოსაზრებები მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვას, უნივერსიტეტმა წარმოადგინა დიაგრამა, სადაც აღნიშნული იყო ყველა სტრუქტურული ერთეული, ასევე დებულება, რომლითაც ხელმძღვანელობდა სასწავლო უნივერსიტეტი. თავდაპირველად ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი გარკვეული სტრუქტურული ერთეულები, თუმცა დაწესებულების არგუმენტირებული პასუხიდან გამოვლინდა, რომ მრჩეველთა საბჭო არ იყო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. ასევე, სამეცნიერო კვლევების განვითარების საბჭო არსებობდა, თუმცა მისი დებულება არ იყო გაწერილი. აკადემიურ საბჭოს ფუნქციაში აღნიშნული იყო, რომ ის იყო კოლეგიალურ-საკონსულტაციო მუდმივმოქმედი ორგანო. მასში შედიოდნენ ის ადამიანები, ვინც ამჟამად იყო წარმოდგენილი უნივერსიტეტში და იკავებდნენ შესაბამის თანამდებობებს. ხოლო აკადემიური პერსონალი შემდეგ შეიძლება შეყვანილი ყოფილიყო აკადემიურ საბჭოში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აკადემიური საბჭო იყო კოლეგიალურ-საკონსულტაციო მუდმივმოქმედი ორგანო იყო არასწორი და რომ ასეთი ორგანო იყო არა აკადემიური საბჭო, არამედ მრჩეველთა საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ამტკიცებდა თუ არა გაერთიანებული კრება საგანმანათლებლო პროგრამებს და დაინტერესდა პერსონალის ინგლისური ენის ფლობის დონით.

ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი ფლობდა ინგლისურ ენას. გაერთიანებული კრება კი აერთიანებდა ყველა აკადემიურ და აფილირებულ პროფესორს.

გაერთიანებული კრება ასრულებდა აკადემიური საბჭოს ფუნქციას, სანამ ეს ორგანო ამოქმედდებოდა. მნიშვნელოვანი იყო, სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში. აკადემიური საბჭოს წევრი უნდა ყოფილიყო სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, რომელიც იქნებოდა გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული და იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა სტუდენტებს, მას ვეტოს უფლება ექნებოდა. ეს გარდამავალ დებულებაში იყო აღწერილი.

ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული რეგულაციით, აკადემიურ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა რექტორი, კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი, სტუდენტთა წარმომადგენელი. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანი იყო აკადემიურ საბჭოში აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლის ყოფნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე შეიძლებოდა შექმნილიყო აკადემიური საბჭო ასეთი შეკვეცილი ფორმით, აკადემიური პერსონალის გარეშე.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა აკადემიური საბჭოს ფუნქციით. კერძოდ, ამტკიცებდა თუ არა ბიუჯეტს ეს ორგანო და არსებობდა თუ არა დაწესებულებაში აკადემიური საბჭოს გარდა ადმინისტრაციული საბჭო. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიური საბჭო ფაქტობრივად იხილავდა ყველაფერს, რაც უნივერსიტეტში ხდებოდა, კვლევის პრიორიტეტებს, ბიუჯეტს. ამიტომ ადმინისტრაციული საბჭოს არსებობა აღარ იყო საჭირო, რადგან დაწესებულებას ასევე ყავდა მრჩეველთა საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ დაწესებულებას მიმართა კითხვით გამჭვირვალობის პრინციპთან დაკავშირებით; ბიუჯეტს წარადგენდა კანცლერი და იგივე პიროვნება შედიოდა საბჭოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს პიროვნება ხდებოდა ინიციატივის წარმდგენი აკადემიურ საბჭოზე; ის იყო ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც საკუთარ პოზიციას დააფიქსირებდა, თუმცა განხილვაში არ მიიღებდა მონაწილეობას.

საბჭოს ერთ-ერთი მოწვეული წევრი დაინტერესდა, თუ შეიძლებოდა სტუდენტ წევრს პროგრამაზე ვეტოს დადება. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით დასაბუთებული ვეტო შესაძლებელი იყო. თუმცა ეს ვეტოს პრინციპი არ დაწესდებოდა სწავლის პირველ ან/და მეორე წელს. სტუდენტებს ექნებოდათ შეფასების სისტემა და თუ იქ დაფიქსირდებოდა არგუმენტირებული დასაბუთება პროგრამებთან მიმართებაში, შესაბამისად შეიძლებოდა ვეტოს დადება.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა ვინ ანიჭებდა კვალიფიკაციას კურსდამთავრებულს. ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს წარდგენით რექტორი ანიჭებდა კურსდამთავრებულს კვალიფიკაციას. ფაკულტეტის საბჭო არ არსებობდა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს არ იყო კანონთან თანხვედრაში, რადგან კვალიფიკაცია კურსდამთავრებულს უნდა ენიჭებოდეს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დეკანი იყო საბჭოს წევრი; ეს იყო პატარა უნივერსიტეტი. ფაკულტეტი და უნივერსიტეტი ფაქტობრივად ერთი და იგივე იყო; კვალიფიკაციის მინიჭების ინიციატივა, შესაბამისად, მოდიოდა ფაკულტეტიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კვალიფიკაციას ანიჭებდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული. შესაბამისად, დაინტერესდა არსებობდა თუ

არა დაწესებულების სტრუქტურაში ფაკულტეტი, მისი საბჭო და დებულება, თუ როგორ ხდებოდა კვალიფიკაციის მინიჭება. ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭო არ არსებობდა და შესაბამისად, მისი დებულებაც ვერ იარსებებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ამ დაწესებულებას არ მოეთხოვებოდა ის ვალდებულებები, რაც სახელმწიფო ინსტიტუციებს ჰქონდათ. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი იყო ფაკულტეტის დეკანი, მისი გადაწყვეტილებით ენიჭებოდა დიპლომი. დღეის მდგომარეობით, ის დიპლომი, რომელსაც უნივერსიტეტი გასცემდა არ იქნებოდა ვალიდური. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ამჟამად, ფაკულტეტი და უნივერსიტეტი იყო ერთი და იგივე, თუმცა ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციას ამ მხრივ გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრი გიორგი აბრამიშვილის განმარტებით, კვალიფიკაციის მინიჭებას არ სჭირდებოდა კოლეგიალური ორგანო, აქ საკმარისი იყო ბაკალავრიატზე საკვალიფიკაციო კომისია. სამაგისტრო დონეზე საგამოცდო კომისია.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მოუწოდა ექსპერტებს აღენიშნათ თავიანთი შეფასება სამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით. ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები წარმოდგენილი იყო. თუმცა იგივე გაზიარებისა და ცნობადობის პრობლემა ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებითაც არსებობდა. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სხვადასხვა დებულებები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან იყო მეტნაკლებად გადმოღებული. ამას ადასტურებდა ასევე უნივერსიტეტიც. ექსპერტების მიერ მოხდა დებულებების დადარება.

ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში ერთ-ერთი აზრად იმთხვეოდა შავი ზღვის უნივერსიტეტის დებულებას, რადგან ორივე დებულება თავად მის მიერ იყო დაწერილი. აღნიშნული აზრადი ოდნავ იქნა შეცვლილი, ამის შემდეგ პლაგიატის პროგრამაში გატარდა და 1% მსგავსება იყო დაფიქსირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა კითხვით ექსპერტს, 2.3 სტანდარტთან დაკავშირებით ფიქრობდნენ თუ არა, რომ აღნიშნული იყო პლაგიატი და ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პლაგიატის პროგრამა და შესაბამისი რეგულაცია გაწერილი. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, დაწესებულებას ყველაფერი გაწერილი ჰქონდა და როდესაც ერთი და იგივე დოკუმენტი ხშირად იწერებოდა, ისინი ერთმანეთს ჰგავდა; პროგრამამ 1 % პლაგიატი დააფიქსირა.

დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის დებულება თანხვედრაში იყო პარლამენტის ბიბლიოთეკის დებულებასთან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზნები და შესაბამისად ბიბლიოთეკის დებულებაც, განსხვავებული უნდა ყოფილიყო პარლამენტის ბიბლიოთეკის მიზნებისაგან და დებულებისაგან. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, როდესაც დებულებებში ნაწილები იმთხვეოდა, ეს შეეხებოდა ძირითადად საკანონმდებლო ნაწილებს. ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ ქართულ ისტორიულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამედიცინო პროფილის მქონე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზანი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არსებობდა საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ კანონი. თუმცა, შეიძლებოდა დოკუმენტში ყოფილიყო ხარვეზი.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იბსუ-შიც და აღნიშნულ დაწესებულებაშიც ერთი კონკრეტული პიროვნება იყო ჩართული დებულებების შექმნაში. მან აღნიშნა, რომ რადგან დასკვნის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გადმოწერილი იყო იბსუ-დან, ეს იყო ძალიან მძიმე ჩანაწერი, ამიტომ მან იკითხა შედარდა თუ არა ექსპერტების მიერ ამ ორი დაწესებულების ეს დებულებები.

დაწესებულების წარმომადგენლის ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, ის მუშაობდა იბსუ-ში. ავტორიზაციის მაძიებლის დებულებები იქმნებოდა პერსონალის ჩართულობით და მის მიერ მხოლოდ ეს ნაწილი იყო შექმნილი.

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი გარემოება მხოლოდ ერთ დებულებაში რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, მაგრამ ექსპერტებმა ნახეს რომ მარეგულირებელ დებულებებშიც იყო ტექსტები წამოღებული იბსუს დოკუმენტებიდან. დოკუმენტების დადარების პროცესს კი ვიზიტის დროს დაესწრო ცენტრის წარმომადგენელი.

ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ ორი დაწესებულების ფორმები ერთმანეთს ჰგავდა, თუმცა არ იყო ერთი და იგივე. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს სხდომის დასრულებამდე საბჭოს წევრებისათვის წარედგინა დაწესებულების ის დოკუმენტები, რომელთა ტექსტებიც იყო გადმოწერილი სხვა დაწესებულებების დოკუმენტებიდან და მოუწოდა ექსპერტებს, რომ გადასულიყვნენ მესამე სტანდარტის განხილვაზე. თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა სხდომას თუ ესწრებოდნენ პროგრამის ხელმძღვანელები.

ხათუნა საგანელიძემ წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამების შეფასებისას იხელმძღვანელა მედიცინის დარგობრივი მახასიათებლებით. ექსპერტის განმარტებით, დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ შეიქმნებოდა საბჭო, რომელიც იზრუნებდა პროგრამის განხორციელებაზე. საბჭო დაინტერესდა იარსებებდა თუ არა დაწესებულებაში პროგრამის შემუშავებისა და განვითარების საბჭო. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არსებობდა პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაზე მომუშავე დროებითი საბჭო, თუმცა აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარებას მუდმივი საბჭო სჭირდებოდა, რადგან ეს მუდმივი პროცესი იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მეტნაკლებად პროგრამა შემუშავებული იყო მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. ექსპერტის განმარტებით, კვლევითი კომპონენტი და კლინიკური კომპონენტი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 10-10 კრედიტის ოდენობით, რაც პროგრამაში ასე არ იყო. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს კომპონენტები სხვადასხვა კურსებში იყო წარმოდგენილი.

საბჭოს წევრის, რიმა ბერიაშვილის განმარტებით, მესამე სტანდარტი შეფასებული იყო ისე, როგორც უკვე არსებული უნივერსიტეტი უნდა შეფასებულიყო. მისი აზრით, ცოტა დრამატიზებული იყო პროგრამის მდგომარეობა სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში, გადაჭარბებული იყო მოთხოვნები PBL-სა და, შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებასთან მიმართებაში და ა.შ.



ხათუნა საგანელიძის განმარტებით, PBL-ისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი პირდაპირ დაკავშირებული იყო უსდ-ს მიერ განსაზღვრულ სტუდენტების რაოდენობასთან ჯგუფებში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავს PBL-ის სწავლების დროს ჯგუფში ყავდეს 20 სტუდენტი, რაც დიდი რაოდენობაა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით 20 კაციანი ჯგუფი გაიყოფოდა 2 ჯგუფად.

საბჭოს წევრის, რიმა ბერიაშვილის განმარტებით, აღნიშნული მეთოდები შეიძლება გამოწვეულიყო იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლა იქნებოდა უკვე დაწყებული. მისი თქმით, PBL და CBL იყო მეთოდები, რომელიც მომავალში ან განხორციელდებოდა ან არა, ამ ეტაპზე კი მათი დეტალური დაგეგმვის საჭიროება არ არსებობდა და მხოლოდ სტრატეგიაში თუ იქნებოდა წერილობით წარმოდგენილი.

ექსპერტის სალომე ხუბულავას განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი ვალდებული იყო შეეფასებინა უნივერსიტეტის მზაობა მიეღო სტუდენტი. სწავლება იწყებოდა საბაზისო საგნებით, რომლისთვისაც საჭირო იყო გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა და სასწავლო საუნივერსიტეტო ლაბორატორიების არსებობა.

მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, რამდენი ქართველი და რამდენი უცხოელი სტუდენტი მოიაზრებოდა 150 სტუდენტში, რომლის მიღებასაც დაწესებულება გეგმავდა. დაწესებულების განმარტებით, 125 სტუდენტი უცხოენოვან პროგრამაზე, 25 სტუდენტი ქართულენოვან პროგრამაზე ჩაირიცხებოდა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა გაწერილი ენის კომპეტენციები და პროგრამის წინაპირობები. ექსპერტის სალომე ხუბულავას განმარტებით, როდესაც სტუდენტი ჩამოვიდოდა საქართველოში, უნდა ჩაებარებინა ენის გამოცდა B2 დონე. მარიამ დარბაიძე ასევე დაინტერესდა, რამდენად იყო თანხვედრაში ენის კომპეტენციის განსაზღვრის პროცედურა მინისტრის ბრძანებასთან სკაიპ კონფერენციის შესახებ. სალომე ხუბულავას განმარტებით, აღნიშნული პროცედურა არ იყო თანხვედრაში ბრძანებასთან.

ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, უცხოელებს მოეთხოვებოდათ B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა. სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, მათ ჩაუტარდებოდათ ტესტირება, რომელიც დაადგენდა ენის ცოდნის დონეს. სკაიპ კონფერენციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი კანონის მიხედვით ჩატარდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის მარიამ დარბაიძის განმარტებით, აღნიშნული პროცედურა მკაფიოდ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, არსებობდა რეკრუტერი ფირმა, რომელიც ავრცელებდა აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით ინფორმაციას.

საბჭოს წევრის გიორგი აბრამიშვილის განმარტებით, კანონით განსაზღვრული პროცედურა უნდა ყოფილიყო განმარტებული და მიზანი კონკრეტულად ახსნილი. მესამე სტანდარტთან დაკავშირებით კი ზოგიერთი კომპონენტის განხორციელების პროცედურა არ იკვეთებოდა. კერძოდ, მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროგრამის ინიცირების უფლება ჰქონდა რექტორსა და სკოლას. თუ სკოლას ჰქონდა ეს უფლება, მაშინ სკოლას უნდა ჰქონოდა თავისი საბჭო, მთლიანი სკოლა ვერ გააკეთებდა ინიცირებას. საბჭოს წევრის განმარტებით, ზოგადად, პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია იყო მჭირი.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა ვინ იყო პროგრამის შემუშავებაში ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენლის გიორგი წილოსანის განმარტებით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას ჰქონდა კვლევა, რომ 2030 წლისთვის იქნებოდა ნაკლებობა სამედიცინო კადრებისა და იქნებოდა გაზრდილი მოთხოვნა ამ მიმართულებით. უამრავი სიახლე არსებობდა, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ტვილდიანის უნივერსიტეტთან.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა თუ იყო ჩართული ადგილობრივი გარე ექსპერტი პროგრამის შემუშავებაში. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, ტვილდიანის უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავების პროცესში.

გიორგი წილოსანის განმარტებით, OSCE-ზე როდესაც არის საუბარი კლინიკური გამოცდა ამ განხრით ფილოსოფიურად უნდა მიუდგეს სტუდენტი, როდესაც უნდა გაითვალისწინოს 360 გრადუსიანი მიდგომა პაციენტის მიმართ. ასევე ცენტრი უნდა შეიქმნას კაბინებითა და სიმულატორებით.

გიორგი წილოსანის განმარტებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები „მედიკლბთან“ და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან. მემორანდუმები საშუალებას მისცემდა სტუდენტებს, გამოეყენებინათ ეს რესურსი. PBL სხვადასხვა სახის არსებობდა, გათვალისწინებული იყო სემინარი, რომელიც გადაამზადებდა პროფესორებს PBL-ის სწავლების მიზნით, რომელიც დაიგეგმებოდა პროგრამაში.

საბჭოს მოწვეული წევრი დაინტერესდა, სად ისწავლიდნენ სტუდენტები საბაზისო საგნებს. უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით, ბალნეოლოგიურის შენობაში იყო ყველაფერი მოწყობილი, სადაც გაივლიდნენ ამ საგნებს.

მარიამ დარბაიძის განმარტებით, დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედებული იყო იანვრის თვიდან და მას შემდეგ სავალდებულო იყო მისი დანერგვა. შესაბამისად, ის დაინტერესდა მოწვეული წევრების აზრით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს მოწვეული წევრის მერაბ ბუაძის განმარტებით, წარმოუდგენელი იყო ამ პიროვნებების ხელში არ ჩამოყალიბებულიყო დაწესებულება საგანმანათლებლო უნივერსიტეტად. ეს ინიციატივა კარგი იყო ქვეყნისთვის და ბიუჯეტისთვის. კლინიკა საკმაოდ კარგი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, ბაზა არსებობდა და როდესაც დაიწყებდნენ ფუნქციონირებას უფრო და უფრო დაიხვეწებოდა.

საბჭოს მოწვეული წევრის ამირან გამყრელიძის განმარტებით, პრობლემა იყო ზოგადად სამედიცინო განათლება ქვეყანაში. რამდენიმე პოზიტიური გარემოება არსებობდა ამ სასწავლებლის მიმართ. სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრისით, საქართველო საკმაოდ მიმზიდველი უნდა გამხდარიყო და ამის რესურსი არსებობდა. რეაბილიტაციური თერაპიის მწვავე დეფიციტი იყო ქართულ ბაზარზე. დაწესებულებას ჰქონდა საუკეთესო ბაზა, რომელიც იყო ბალნეოლოგიური კურორტი. ეს იქნებოდა ერთ-ერთი საუკეთესო სამედიცინო ცენტრი, რომელიც გაერთიანებდა არამხოლოდ საექიმო სპეციალობებს, არამედ ექიმამდელს. ამის პერსპექტივა და განვითარების შესაძლებლობა ამ დაწესებულებას ძალიან დიდი ჰქონდა. მინუსი იყო ის, რომ ძალიან მომრავლდა სამედიცინო განათლების დაწესებულებები, დადებითი იყო ის, რომ უცხოენოვანი სამედიცინო განათლება აღარ იყო უჩვეულო ქართველი პროფესიონალებისთვის. წინაპირობა იმისა, რომ ამ ინსტიტუტმა იმუშაოს და განვითარდეს ძალიან დიდი იყო. 90-იანი წლების განმავლობაში გიორგი წილოსანი ცდილობდა ამერიკული

სამედიცინო ლიტერატურის გავრცელებას საქართველოში, დაწესებულების დამფუძნებელი იყო ინიციატორი სამედიცინო ფაკულტეტის აღდგენის და ფუნქციონირების.

მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ პროგრამული ნაწილი შეფასებულიყო იყო როგორც შეუსაბამო სტანდარტის მოთხოვნებთან და დაინტერესდა მოწვეული წევრების აზრით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრის ქეთევან ცხადაძის განმარტებით, ექსპერტთა შეფასება და მათი განმარტებები არ იყო თანმიმდევრული, რაც ართულებს საბოლოოდ სრული სურათის აღქმას. კერძოდ, რიგ შემთხვევაში ისინი რადიკალურ შეფასებებს ახდენენ, არიან ძალიან მკაცრები, შესაბამისად, საინტერესო იყო თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს მათ მე-3 და მე-4 სტანდარტების შეფასებისას, რადგან სწორედ ეს სტანდარტები იქნა მათ მიერ ყველაზე მძიმედ შეფასებული.

საბჭოს თავმჯდომარის მარიამ დარბაიძის განმარტებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო რომ დაწესებულებას გამართული დოკუმენტაცია ჰქონოდა. მოწვეული წევრის, ამირან გამყრელიძის, შეფასება დაწესებულების ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გადიოდა თუ არა პროგრამა სწავლის შედეგებზე. ხათუნა საგანელიძის განმარტებით, მესამე სტანდარტი იყო ის სტანდარტი, რომელიც არ უნდა ახდენდეს ავტორიზაციის გადაწყვეტილებაზე გავლენას. რადგან აკრედიტაციის პროცესში პროგრამის შეფასება ისედაც ხდებოდა. სილაბუსებში ძალიან ბევრი ხარვეზი იყო. შეფასების სისტემაც დასახვეწი იყო.

მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, რატომ არ დაიწერა ნაწილობრივი შესაბამისობა. ხათუნა საგანელიძის განმარტებით, არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, ვინაიდან დოკუმენტების მიხედვით სხვა მოცემულობა იყო. ექსპერტის განმარტებით, იგივე ეწერა ავტორიზაციის წინა ჯგუფსაც, რაც მესამე სტანდარტში იყო გადმოტანილი.

საბჭოს წევრმა გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტი პრობლემური იყო და სთხოვა ექსპერტებს, რომ განზოგადებული სახით აეხსნათ, რატომ მივიდნენ ექსპერტები ამ კონკრეტულ დასკვნამდე.

ხათუნა საგანელიძის განმარტებით, მედიცინის დარგობრივი სტანდარტის შემმუშავებელი დარგობრივი საბჭოს წევრი ისიც იყო და ბუნებრივი იყო, რომ ექსპერტები შეფასებისას ხელმძღვანელობდნენ დარგობრივი სტანდარტით. დარგობრივი დოკუმენტი იმდენად დეტალური იყო, რომ შეუძლებელი იყო მისი მოთხოვნების ვერ დანახვა პროგრამაში. ხათუნა საგანელიძემ ასევე აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ამ დარგობრივ სტანდარტს დაწესებულების პერსონალი სამწუხაროდ არ იცნობდა.

საბჭოს წევრი გიორგი გვალია დაინტერესდა, ამ სახით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, იძლეოდა თუ არა პროგრამა იმის საშუალებას, რომ კურსდამთავრებული გაეყვანა კონკრეტულ შედეგზე. ხათუნა საგანელიძის განმარტებით, სტუდენტი გარკვეულ შედეგზე გავიდოდა.

ექსპერტის განმარტებით, მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად უნდა ჩართულიყო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებში.



საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პერსონალთან არსებული ხელშეკრულებებით და იმით თუ ვინ იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები, რომელთაც დაწესებულების თანამშრომლები შეარჩიეს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომისიაში შედიოდნენ როგორც ადმინისტრაციის ზედა რგოლის წარმომადგენლები, ასევე ადამიანური რესურსების დეპარტამენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავთანდილ გაგნიძემ პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყავდა 11 აფილირებული პროფესორი და რომ მოწვეულმა პროფესორებს შესაძლებელი იყო არ სცოდნოდათ აფილირების წესის შესახებ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ დარბაიძე დაინტერესდა დაწესებულებაში არსებობდა თუ არა აფილირების წესი. ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ უპასუხა, რომ წესი არსებობდა, თუმცა დადგინდა, რომ აფილირებულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები არ იყო განსხვავებული. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, აფილირების შეთანხმება ხელშეკრულების დანართს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა ექსპერტებს სთხოვა განემარტათ რას ეფუძნებოდა მათი რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ დაწესებულებას უნდა შეედგინა პერსონალის დატვირთვის სქემა ისე, რომ არ მომხდარიყო რამდენიმე სამუშაო პოზიციით გათვალისწინებული ფუნქციების გადაფარვა და შესაბამისად, სამუშაო დატვირთვის გადაჭარბება. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა 4 მოწვეული პერსონალით აზერბაიჯანიდან.

ექსპერტის სალომე ხუბულავას განმარტებით, შრომის კოდექსის მიხედვით, 40 საათი შეიძლება ყოფილიყო პერსონალის დატვირთვა. საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა განმარტა, რომ ეს წესი ვრცელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში, სალომე ხუბულავამ კი დაამატა, რომ შესაძლებელი იყო წესი ვრცელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო სამსახურებზე, მაგრამ გადაჭარბებული სამუშაო დატვირთვა უარყოფით გავლენას ახდენდა პერსონალის პროდუქტიულობაზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, რაც გასათვალისწინებელი იყო.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ გამოცხადებულ კონკურსის შედეგებში მიზანშეწონილი არ იყო პირადი ნომრის მითითება. ასევე მისი თქმით, კონკურსის პირობებში მოთხოვნად მითითებული იყო მხოლოდ უმაღლესი განათლება, მაგრამ მისი აზრით, კონკურსის პირობებში საჭირო იყო პირობების მეტად დაკონკრეტება. მან აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულების მიერ პროფესიული ნიშნით ხდება პირების მიღება, შეიძლება გაჩნდეს შთაბეჭდილება, რომ სანიტარი, რომელსაც აქვს პრაქტიკული გამოცდილება შეიძლება დასაქმდეს დაწესებულებაში, ამიტომ უმაღლესი განათლების გარდა საჭიროა, პირობების დაკონკრეტება.

დაწესებულების წარმომადგენლის ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, როდესაც კონკურსი ცხადდებოდა, გათვალისწინებული იყო როგორც პოზიციის პროფილი, ასევე დატვირთვა. მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით, კი აღნიშნა, რომ ხაზარის უნივერსიტეტი იყო პარტნიორი, ხოლო მისი ყოფილი ლექტორი იყო დამფუძნებელი. შესაბამისად, ისინი იყვნენ მოწვეული პროფესორები და ფლობდნენ ინგლისურ ენასაც. მისი განმარტებით, აზერბაიჯანში ხაზარის უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი წამყვანი, ამერიკული ტიპის უნივერსიტეტი და დაწესებულების შექმნაში ის იყოს ჩართული, როგორც ერთ-ერთი მხარე.



ექსპერტმა სალომე ხუბულავამ წარმოადგინა მეხუთე სტანდარტი და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ სტუდენტთა მხარდაჭერის ჯგუფი წარმოდგენილი იყო ორი თანამშრომლით - დეპარტამენტის ხელმძღვანელით და მენეჯერით. ორი პერსონის ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ სამედიცინო განათლება და ექსპერტთა ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ ამას ეხებოდა.

ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, აღნიშნულ დეპარტამენტში 3 თანამშრომელი იყო დასაქმებული. ამ დეპარტამენტის პრობლემა იყო ექიმის დანიშვნა სასწავლო პროცესის მენეჯერად, მაგრამ აღნიშნა, რომ სამედიცინო სფეროში მუშაობის გამოცდილება იქნებოდა პრიორიტეტული. კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ კანონის დარღვევა არ ხდებოდა კრედიტების აღიარების წესით, მაგრამ რეკომენდაციას დაეთანხმა.

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ ექსპერტთა ჯგუფს გააცნო მე-6 სტანდარტთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემოტანილი ჰქონდა განაცხადი როგორც სასწავლო უნივერსიტეტი. ასევე აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაციები დაკავშირებული იყო კვლევით აქტივობებზე ბიუჯეტის ნაწილში. ასევე, ექსპერტის თქმით, დაგეგმილი იყო კვლევითი საბჭოს შექმნა, რომლის დებულებაც უნივერსიტეტს უნდა შეემუშავებინა.

მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა მე-6 სტანდარტის შესასწავლად თუ იქნა შესწავლილი სამეცნიერო აქტივობები. ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების პერსონალი გამოირჩეოდა კვალიფიციურობით, მაგრამ არ იყო განსაზღვრული რა ტიპის კვლევით საქმიანობას განახორციელებდნენ დაწესებულების სახელით.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა ურჩია დაწესებულებას შეექმნა კვლევების განვითარების დეპარტამენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა კვლევითი საბჭო, რომელსაც ჰქონდა მარეკომენდირებელი ფუნქცია. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ხელს უწყობდა სტუდენტებისათვის კვლევითი უნარების გამომუშავებას ორი კურსით, და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობით.

საბჭოს სხდომა დატოვა წევრმა მარინა გედევანიშვილმა.

ექსპერტის ხათუნა საგანელიძის განცხადებით, მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკით სტუდენტების უზრუნველყოფასთან მიმართებით, უცხოელმა ექსპერტებმა მოითხოვეს სართულის დაგეგმარების გადაზღავნა, ბიბლიოთეკის მოცულობის დაზუსტების მიზნით. მისი განმარტებით, ბიბლიოთეკამ ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს მოწვეულმა წევრებმა: ამირან გამყრელიძემ და გია ნემსაძემ.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:57 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს მოწვეულ წევრების კვორუმის არარსებობის გამო, საჭირო იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვის შეჩერება და მიზანშეწონილი იყო მომხდარიყო დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხების

განხილვა. პირველი საკითხის განხილვა გაგრძელდებოდა მას შემდეგ, როდესაც საბჭოს მოწვეული ორი წევრი დაბრუნდებოდა სხდომაზე.

2. შპს ევროპის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლილი ხეჩუაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა. მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 11, 12 და 13 ივლისს. პრაქტიკულად ყველა პუნქტი იქნა გავლილი. ვიზიტმა ჩაირა კეთილგანწყობილ გარემოში, ექსპერტები ორ პარალელურ საკითხზე მუშაობდნენ. ყველა დოკუმენტაცია რაც იყო საჭირო შეფასებისთვის, მათ გამოითხოვეს. დაწესებულებამ კი დროულად და შეძლებისდაგვარად სრულად მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტები.

ლილი ხეჩუაშვილის განმარტებით ყველა რეკომენდაცია, რომელიც 2018 წლის მონიტორინგის ვიზიტის შემდეგ იქნა მიღებული დაწესებულებამ გაითვალისწინა და დოკუმენტურადაც აისახა უნივერსიტეტის მხრიდან, კერძოდ:

- უსდ-ს დასრულებული ჰქონდა მუშაობა და წარმოდგენილი ჰქონდა სტრატეგიული მიმართულების დოკუმენტები: შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და შესაბამისი სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აღწერილი იყო სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები. ამასთან, დაკონკრეტებული იყო განხორციელების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები, გადამოწმების წყარო, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, განხორციელებაში ჩართული მხარე და განსაზღვრულია შესაძლო რისკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უსდ-მ შეიმუშავა კვარტლური მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი მონიტორინგის პროცედურა. ვიზიტის მომენტისათვის უსდ-ს დასრულებული ჰქონდა მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონიტორინგი და წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში.
- უსდ-ის მისიაში დაკონკრეტდა მისი როლი კვლევით საქმიანობაში და დაიწერა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელშიც მკაფიოდ იყო გაწერილი სტრატეგიული პრიორიტეტები როგორც სწავლების, ისე კვლევის მიმართულებით. მასში, ასევე, დეკლარირებული იყო, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთ

პრიორიტეტს 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმაში სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა წარმოადგენდა. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების თვალსაზრისით, უსდ პრიორიტეტად ისახავდა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებას. ასევე, დაკონკრეტებული იყო განსაზღვრული განსავითარებელი საგანმანათლებლო პროგრამები. რაც შეეხებოდა კვლევის კონკრეტულ მიმართულებებს, უსდ-მ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირებისა და ფინანსური და ადამიანური რესურსების პოტენციალის შეფასებაზე დაყრდნობით კვლევისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად დასახელებული იქნა გამოყენებითი კვლევა მედიცინის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების 7 მიმართულებით და კვლევები სამართლის და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

- ვინაიდან მმართველ ორგანოში განიხილებოდა არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, არამედ უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხებიც, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით მმართველი ორგანოს შემადგენლობაში შედიოდა არა მხოლოდ აკადემიური, არამედ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალიც. ამიტომ უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით უსდ-ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებ და მმართველ ორგანოდ განისაზღვრა არა აკადემიური, არამედ მმართველი საბჭო. მმართველი საბჭოს უფლებამოსილება, ფუნქციები, გადაწყვეტილების მიღების ფორმა, მუშაობის ფორმატი, შემადგენლობა და საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმები რეგულირდებოდა მმართველი საბჭოს დებულებით და მის შემადგენლობაში შედიოდა რექტორი, ვიცე რექტორები ადმინისტრაციული, საგარეო ურთიერთობებისა და სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებით, ფაკულტეტის დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, აფილირებული აკადემიური პერსონალი თითოეული ფაკულტეტიდან, კურსდამთავრებული და სტუდენტი თითოეული ფაკულტეტიდან, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე და ერთი პოტენციური დამსაქმებელი. მმართველი საბჭოს წევრების არჩევა გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით ხდებოდა, არჩევის კრიტერიუმები ცნობილი იყო და განსაზღვრული იყო მმართველი საბჭოს დებულებით.
- მმართველი საბჭოს უფლებამოსილება, რომელიც გაწერილი იყო დებულებით, ყოველივე ზემოაღნიშნული მმართველ საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას განიხილოს და დაამტკიცოს უნივერსიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ამასთანავე, შეიმუშოს რეკომენდაციები უნივერსიტეტისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე.
- უსდ-ში მკაფიოდ იყო გამოიჯნული ადმინისტრაციული, საგარეო ურთიერთობებისა და სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით პრორექტორებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ფუნქციები. მკაფიოდ იყო ერთმანეთისაგან გამოიჯნული და დეტალურად გაწერილი უნივერსიტეტის დებულებაში, რაც სრულიად გამორიცხავდა მათი ფუნქციების დუბლირებას. გარდა ამისა, ფუნქციური დუბლირებების თავიდან ასაცილებლად, დეტალურად იყო გაწერილი თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობები, მათ შორის, ვიცერექტორებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში შემავალი თანამდებობებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმიანობის მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით დეპარტამენტმა შეიმუშავა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების

შედეგების გამოყენების პროცედურები“, რომლითაც რეგულირდებოდა აღნიშნული სამსახურის ფუნქციონირება.

- უნივერსიტეტში განახლდა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის შესაბამისადაც იყო გაწერილი უნივერსიტეტის დებულება. ის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად აღწერდა უნივერსიტეტის ორგანიზაციულ მოწყობას, თითოეული სტრუქტურული ერთეულისა თუ თანამდებობის პირების დაქვემდებარების საკითხებსა და უფლებამოსილებებს.
- უსდ-მ განაახლა „ბიზნესპროცესების რისკების შეფასებისა და უწყვეტობის პოლიტიკა, პროცედურები და ბიზნესუწყვეტობის გეგმა“, რომელიც განსაზღვრავდა უნივერსიტეტის წინაშე არსებული რისკების კატეგორიებს (სტრატეგიული, ოპერაციული, ფინანსური, ფორსმაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებული რისკები), აღწერდა თითოეული ტიპის რისკს, მათ შეფასებასა და განსაზღვრის მეთოდოლოგიას, ხდომილების ალბათობასა და თითოეულ შემთხვევაში რისკის მართვისათვის საჭირო ქმედებებს. დოკუმენტი, ასევე, აღწერდა რისკების გამოვლენის, შეფასების, პრევენციული ზომებისა თუ რისკების დადგომის შემთხვევაში საპასუხო ღონისძიებების პროცედურებს. უსდ-მ წარმოადგინა ბიზნესუწყვეტობის ცხრილი, რომელშიც დაკონკრეტებული იყო ბიზნესუწყვეტობის დოკუმენტში დასახელებული ყველა ტიპის რისკი, დეტალურად იყო ჩამოთვლილი ფინანსური, ოპერაციული, 9 სტრატეგიული და ფორსმაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებული რისკები. განსაზღვრული იყო თითოეული ჩამოთვლილი რისკის ცდომილების ალბათობა, გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე, პრევენციული ქმედებები, პასუხისმგებელი ერთეულები / პირები, რეაგირება / ქმედებები. აღნიშნული სახით ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია პასუხისმგებელ პირს ეხმარებოდა პროცესის კოორდინირებაში. ბიზნესუწყვეტობის გეგმის დანერგვას კოორდინაციას უწევდა სტრატეგიული განვითარების მენეჯერი.
- უსდ-მ შეიმუშავა 2018-2024 წლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ისეთი ძირითადი მიმართულებები, როგორებიცაა უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეთი ჩართულობა, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ინსტიტუციური საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. უსდ-ს ერთი წლის განმავლობაში, ვიზიტის მომენტისათვის განხორციელებული ჰქონდა 30-მდე აქტივობა ამ მიმართულებით. გარდა ამისა, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით ინტერნაციონალიზაციის 2018-24 წლების პოლიტიკის თანახმად უსდ გეგმავდა ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობას. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმული იყო, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღების პირობად დაკონკრეტდა უცხო ენებს შორის ინგლისური ენის ჩაბარება და პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.
- უსდ-მ შეიმუშავა დოკუმენტი „ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა რეესტრის წარმოების წესი“, რომლის თანახმად განისაზღვრა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/თანამდებობის პირი და რეესტრში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი პირი. დოკუმენტის თანახმად გაიმდიჯნა სტუდენტთა და 10 პერსონალის შესახებ ბაზაში ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები. უსდ-ის რეესტრის წარმოება აღნიშნული დოკუმენტის

შესაბამისად ხორციელდება. უსდ საქმისწარმოებას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow) გამოყენებით ახორციელებდა, რაც ხელს უწყობდა რეესტრის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებას.

- დოკუმენტში „ევროპის უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტების შენახვის ვადები“ შევიდა ცვლილება და საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადად 3 თვის ნაცვლად განისაზღვრა 3 წელი.
- უსდ-მ შეიმუშავა „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები (უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, პრაქტიკის ბაზები, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობა) და თითოეული ფაქტორის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებსა და, შესაბამისად, უნივერსიტეტში სტუდენტთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობის გამოთვლის გზები. მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები ფაკულტეტის დეკანები და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, მეთოდოლოგიის მიხედვით მონაცემების შეგროვება და თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასში გაწერილი ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა გათვალეს და წარმოადგინეს ანგარიშები. ამ ანგარიშებზე დაყრდნობით დადგინდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.
- აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მიღებული რეკომენდაციის საპასუხოდ უსდ-ში ჩატარდა ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები და ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის. გარდა ამისა, მედიცინის ფაკულტეტზე ყველა სილაბუსში შეტანილია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები, როგორც სტუდენტებისთვის სავალდებულო ინფორმაცია; საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი იყო აკადემიური წერისა და/ან კვლევის მეთოდების კურსები, სადაც შეტანილი იყო და ისწავლებოდა აღნიშნული საკითხები. ამასთან, უნივერსიტეტის მისაღებ დარბაზში დამონტაჟებული იყო მონიტორი სადაც მუდმივად გაშვებული იყო პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაცია და ანიმაციები.
- 2018 წლის 24 ნოემბერს კურსდამთავრებულებს შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამების განვითარების კუთხით თანამშრომლობის შესახებ ესაუბრნენ მათ. შეხვედრის შემდეგ შეიქმნა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა, რომელშიც პროგრამების მიხედვით იყო ასახული კურსდამთავრებულთა პირადი ინფორმაცია, დასაქმების და კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების შესახებ ინფორმაცია, დამსაქმებელთა შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. უსდ-მ ისინი სრულად ჩართო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში. მათგან მიღებულ იქნა რეკომენდაციები და უსდ-ში უკვე დაგეგმილი იყო ამ რეკომენდაციების განხილვა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით შექმნილ დარგობრივ კომიტეტებზე და მსჯელობის შედეგად გათვალისწინებული რეკომენდაციების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებზე. კურსდამთავრებულთა მხრიდან მიღებული რეკომენდაციები (კონკრეტული სასწავლო კურსების დამატება, ასევე, კონკრეტულ სასწავლო კურსებში სამუშაო დატვირთვის და შესაბამისად კრედიტების მოცულობის გაზრდა) უკვე გათვალისწინებული იყო ახლახანს აკრედიტებულ ბიზინესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში. გარდა ამისა, მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შევიდა

კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულის არჩევა ხდებოდა წარმატებულ კურსდამთავრებულთაგან ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აქტიურად იყო ჩართული პერსონალის მართვის პროცესებში ყველა მიმართულებით. სამსახურს დაემატა ორი თანამშრომელი და შემუშავდა „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პერსონალის მოზიდვის მექანიზმები, პერსონალის შერჩევის და აყვანის პროცედურები, შესრულებული სამუშაოს მართვა (ადმინისტრაციული და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება), მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი, პროფესიული განვითარება, წახალისება და დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თანამშრომელთა შორის კომუნიკაცია. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან და აქტიურად იყო ჩართული პერსონალის აყვანის პროცესში და ზოგადად პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში. ის აგვარებდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებს, აქტიურად მონაწილეობდა გასაუბრების პროცესში. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა შეიმუშავა დოკუმენტი „ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი“, რომელიც დეტალურად აღწერდა შეფასების პრინციპებს, პერიოდულობას, შეფასების მეთოდებსა და სისტემას, შეფასების პროცესსა და პროცესის მონაწილე სუბიექტებს, შეფასების შედეგების გასაჩივრების საკითხებს, პერსონალის განვითარების გეგმას. შეფასების სისტემის დანერგვა დაგეგმილია 2019-20 აკადემიური წლიდან, თუმცა უკვე განხორციელდა საპილოტე შეფასება 2018-19 აკადემიური წლის ბოლოს. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აღნიშნულ პროცესში თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. აღნიშნული შეფასება ხორციელდებოდა დეპარტამენტის მიერ შემუშავებული დოკუმენტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ საფუძველზე.
- გარდა ამისა, აკადემიური, აფილირებული აკადემიური პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები“, რომელშიც განსაზღვრული იყო აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა და დაფინანსების საკითხები. აკადემიური პერსონალის მოზიდვას, შენარჩუნებასა და განვითარებას ემსახურებოდა აკადემიური პერსონალის შეფასების საფუძველზე გამოვლენილი საუკეთესო შედეგების მქონე პერსონალის წახალისების მექანიზმები (მათ შორის, პროფესიული განვითარების დაფინანსება).
- უსდ-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა შეიმუშავა დოკუმენტი „ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი“, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით -- დოკუმენტი „მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამეცნიეროკვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი“. პირველი დოკუმენტი განსაზღვრავდა შეფასების პრინციპებს, პერიოდულობას, მეთოდებსა და სისტემას, პროცესსა და პროცესის მონაწილე სუბიექტებს, შედეგების გასაჩივრების საკითხებს, პერსონალის განვითარების გეგმას. შეფასების შედეგებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ამუშავებდა და ანალიზებდა. მეორე დოკუმენტი განსაზღვრავდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემას (მკაფიოდ იყო გაწერილი თითოეული აქტივობის შესაბამისი შეფასება) და განსაზღვრავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების სისტემას, შეფასების

- მონაწილე მხარეებს. შეფასებას თავად აკადემიური პერსონალი ახორციელებდა (მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე), ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცესში მონაწილეობდა ფაკულტეტის დეკანები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის მენეჯერები, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი, სტუდენტები. შეფასება გულისხმობს მოწვეული და აკადემიური პერსონალის სასწავლო კურსის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების, ფაკულტეტთან და საგამოცდო ცენტრთან თანამშრომლობის, სტუდენტის კმაყოფილების შეფასებას. დოკუმენტის ფარგლებში ასევე განსაზღვრული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების მექანიზმები. შეფასების მექანიზმი გულისხმობდა პერსონალის ინფორმირებას მიღებული შედეგების შესახებ და მათთან თანამშრომლობას შეფასების შედეგად გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებზე მუშაობის მიმართულებით. ასევე, მიღებული საუკეთესო შედეგების წახალისებას, რაც უზრუნველყოფდა შეფასების სისტემისა და მექანიზმების ეფექტიანობას.
- 2018 წლის ივნისის თვიდან დღემდე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 24% -ით (79-დან 98 თანამშრომელი). აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 8 პერსონალით. აღსანიშნავი იყო, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც საშუალებას იძლეოდა, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულიყო მოწვეული და აკადემიური პერსონალის სათანადო რაოდენობა. დოკუმენტი ადგენდა აკადემიური, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულებს.
 - სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურები გამჭვირვალე იყო და დეტალურად იყო გაწერილი დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. წესი არეგულირებდა სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის შეჩერების პერიოდში უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის უფლებამოვალეობები, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობები და ვადები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი იყო სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესები, შესაბამისობაში იყო საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.
 - უსდ-ის სტრატეგიულ გეგმაში დასახელებული კვლევის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრისას უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საკუთარი ადამიანური და ფინანსური რესურსები. სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით შედგენილი იყო უნივერსიტეტის ბიუჯეტი, შესაბამისად, კვლევის მიმართულებით სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების ფინანსური ხელშეწყობა განსაზღვრული იყო უნივერსიტეტის ბიუჯეტით.
 - შეფასების სისტემა 2018-19 აკადემიური წლის ბოლოს (შეფასების სისტემა ითვალისწინებდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ შეფასებას) ამოქმედდა და ვიზიტის მომენტისთვის დასრულებული იყო ძირითადი სამუშაოები, თუმცა ჯერ არ იყო მონაცემების სრულად დამუშავებული და წერილობითი ანგარიშის სახით წარმოდგენილი. უსდ მუშაობს აღნიშნულ დოკუმენტზე
 - უსდ-ის ფინანსურმა სამსახურმა შეიმუშავა დოკუმენტი „ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“. დოკუმენტი არეგულირებს ბიუჯეტირების პროცესს, პროცესის განმახორციელებელ და მასში ჩართულ მხარეებს, სისტემას, ბიუჯეტის ფორმირების ძირითად პრინციპებს, ვადებს, ბიუჯეტის შემუშავების პროცესს. დოკუმენტის თანახმად,

ბიუჯეტირების პროცესი გახდა დეცენტრალიზებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტის შედგენის პროცესი იწყება სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულების ჩართულობით, მათ მიერ ხდება საკუთარი საქმიანობისა და პრიორიტეტების შესაბამისად ხარჯების განსაზღვრა და უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენა სწორედ სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულების საჭიროებების გათვალისწინებით. უსდ-ის 2019 წლის ბიუჯეტი სწორედ აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებითა და დოკუმენტში აღწერილი ბიუჯეტის შედგენის პროცედურების შესაბამისად შემუშავდა. ამდენად, უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულების მოთხოვნებს, საჭიროებებსა და მათ პრიორიტეტებს.

- ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურების დოკუმენტი არეგულირებდა და განსაზღვრავდა ბიუჯეტის მონიტორინგის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირების პროცედურებს. დოკუმენტის თანახმად, ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგი ხორციელდებოდა ქვედა იერარქიულ დონეზე (დეცენტრალიზებული ბიუჯეტის არსიდან გამომდინარე), რაც გულისხმობდა იმას, რომ ფინანსური სამსახური ახორციელებდა ბიუჯეტის მუხლების ანალიზს და წამოჭრილ საკითხებს. განიხილავდა ისევ სტრუქტურულ და საგანმანათლებლო ერთეულებთან ერთად. დოკუმენტის თანახმად, ფინანსური სამსახური პასუხისმგებელი იყო, უზრუნველყოს რექტორისა და მმართველი საბჭოს ინფორმირება ბიუჯეტის ცალკეული მუხლის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, და წარუდგინოს რეკომენდაციები ბიუჯეტის კორექტირების საჭიროების შესახებ. 2019 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებდა ფინანსური სამსახური, აღნიშნული მიზნით სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა მოამზადეს ანგარიშების ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით და წარუდგინეს ფინანსურ სამსახურს. აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე ფინანსური სამსახური აანალიზებს ბიუჯეტის გეგმის მიხედვით შესრულებისა და დაკორექტირების საჭიროების საკითხებს.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო, რომ ევროპის უნივერსიტეტი მზად იყო მოხსნოდა სტუდენტების მიღების უფლების შეზღუდვა.

უნივერსიტეტის რექტორმა ლაშა კანდელაკიშვილმა მადლობა გადაუხადა ცენტრს და ექსპერტებს სათანადოდ ორგანიზებული ვიზიტისა და საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და დაწესებულებისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25¹ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტს (ს/კ: 201954956) მოეხსნას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.

3. შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ქონდათ აცილება საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ. დაწესებულებას საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება არ დაუფიქსირებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და გაცემული რეკომენდაციები:

- გაიმიჯნოს მისამართზე დავით გურამიშვილის გამზირი N76, სასწავლო და დამხმარე ფართები, რათა შესაძლებელი გახდეს მეტი სიზუსტით განისაზღვროს დამატებით რამდენი სტუდენტის მომსახურებას შეძლებს დაწესებულება;
- დასრულდეს მისამართზე სარაჯიშვილის ქუჩა N17 საამშენებლო სამუშაოების დროულად, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესი.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გასაწევი ხარჯების საპროგნოზო გეგმა 2025 წლის ჩათვლით, რათა განისაზღვროს სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, მოსალოდნელი დინამიკა.
- საჭიროა ქართულენოვან სტუდენტთა მოსახურების ელექტრონული სისტემის შესატყვისი ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა, უცხოენოვანი სტუდენტებისათვის მკაფიო, ზუსტი, სრულყოფილი, განახლებული ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
- დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს შესაძლო რისკების დადგომისას, ბიუჯეტის შესავსებად საჭირო დივერსიფიცირებული წყაროები;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წინა საანგარიშგებო წლების აუდიტის ჩატარება.
- საჭიროა 2020-2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლილი ხეჩუაშვილმა განაცხადა, რომ მოცემული მდგომარეობით უნივერსიტეტი არ იყო მზად მოთხოვნილი რაოდენობით სტუდენტების მიღებისთვის. ეს უკვე მსჯელობის საკითხი იყო, რომ ოპტიმალური რაოდენობა შეთანხმებულიყო. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე რეკომენდაცია. პირველ მისამართზე გურამიშვილის გამზ.76, ორი შენობიდან სასწავლო და დამხმარე ფართების გამიჯვნა მომხდარიყო და მეტი სიზუსტით განსაზღვრულიყო რამდენი სტუდენტის მომსახურებას შეძლებდა ამ მდგომარეობით ინსტიტუტმა. მეორე მისამართზე სარაჯიშვილი 17, დროულად მომხდარიყო მშენებლობის დასრულება. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მოინახულეს ადგილი, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა მშენებლობა და საკმაოდ შთამბეჭდავი იყო იქაურობა. მათი რჩევით, უნდა დასრულებულიყო ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ასევე, რეკომენდირებული იყო დაწესებულებას შეემუშავებინა საბიბლიოთეკო რესურსებზე გასაწერი ხარჯების 2020-25 წლების გეგმა. რაც გამოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა და მარტივი მიზეზის გამო არ იყო შედგენილი, რადგან 2 თვის მოსული იყო ბიბლიოთეკარი. თუმცა პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა, დინამიკა იყო დადებითი ნამდვილად. იგეგმებოდა, ქართულენოვანი ბაზის ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა. ასევე უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ბიუჯეტის რისკების უზრუნველყოფის დივერსიფიცირებული წყაროები. ასევე დაწესებულებას უნდა უზრუნველყო წინა საანგარიშგებოდ აუდიტორული შემოწმების ჩატარება. 2020-25 წლების საპროგნოზო ბიუჯეტი ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილში უნდა ყოფილიყო შედგენილი.

დაწესებულების რექტორმა ლაშა კანდელაკიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები თითქმის ყველაფერი გათვალისწინებული იყო. ამ ეტაპზე თითქმის დასრულებული იყო ფართების გამიჯვნა.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხეთისიაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ უნდა წარმოედგინათ შენობის გეგმა. რექტორმა ლაშა კანდელაკიშვილი წარმოადგინა 2 კორპუსის ნახაზი, სადაც უკვე გაიმიჯნა ეს დამხმარე და სასწავლო ფართები. აკადემიური პერსონალი მოემსახურებოდა 4711 სტუდენტს. აუდიტორიების მიხედვით იყო 4486, საბიბლიოთეკო რესურსი იყო 3580 სტუდენტზე გათვალისწინებული. ადმინისტრაციული პერსონალი გათვლილი იყო 3300 სტუდენტზე. თუმცა აქვე გათვალისწინებული იყო, რომ სტუდენტების ზრდასთან ერთად გაიზრდება ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ რაც მოთხოვნილი ჰქონდათ, იმაზე მეტის მიღების შესაძლებლობა გააჩნდა დაწესებულებას.

დაწესებულების რექტორმა ლაშა კანდელაკიშვილმა აღნიშნა, რომ პირველად მოთხოვნილი იყო 4500 სტუდენტი, თუმცა უარის შემდეგ 3000 მოითხოვეს. 2000 ადგილი გათვლილია უცხოელზე, ხოლო 1000 ქართველზე. თუმცა სურვილი იყო, რომ ბალანსი ყოფილიყო 2000 - 2000, სულ 4000

ადგილით. უცხოელი სტუდენტების ხარჯზე, რადგან ქართველი სტუდენტების გადასახადი იყო ძალიან დაბალი. თუ საბჭო მისცემდა საშუალებას, რომ ქართველი სტუდენტების რაოდენობა გაზრდილიყო მისასალმებელი იქნებოდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ლაბორატორიების არსებობით, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. ლაშა კანდელაკიშვილის განმარტებით, აღნიშნული კონტიგენტი ძირითადად მედიცინაზე იყო გათვლილი, ლაბორატორიები და სიმულაციური ოთახები იყო გათვლილი 3000 უცხოელ სტუდენტზე. თუმცა ამ შემთხვევაში დაწესებულება ითხოვდა 2000-ს. მარიამ დარბაიძემ ექსპერტებს სთხოვა აღნიშნულის დადასტურება. ექსპერტის ხათუნა საგანელიძის განმარტებით, ლაბორატორიები ნამდვილად აღჭურვილი იყო. წინა ვიზიტთან შედარებით, იყო ძალიან დიდი წინსვლა. ყველა მაგიდასთან იყო ინდივიდუალური მიკროსკოპი.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ პირველი ინსტიტუცია იყო, რომელსაც ფინანსური რისკი ჰქონდა გათვლილი, რაც ძალიან კარგი პრაქტიკა იყო.

მარიამ დარბაიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ სურვილი რაიმის დამატების. ლაშა კანდელაკიშვილის განმარტებით, დაახლოებით ორი თვის წინ შეიძინეს საერთო საცხოვრებელი, რომელიც დამატებით კიდევ 300 სტუდენტზე იყო გათვლილი, კიდევ ორი კორპუსის აშენება და სპორტდარბაზის აშენება იწყებოდა. სადოქტორო პროგრამის დამატებას აპირებდნენ სამართლის მიმართულებით, ასეთ შემთხვევაში კი სექტემბრის ბოლოს იქნებოდა შემოტანილი ახალი აკრედიტაციის მიღებაზე, აღნიშნული განაცხადის ფარგლებში კი შესაძლებელი იქნებოდა ახალ რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადის შემოტანაც. საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა მიუთითა რექტორის ბრძანებაზე აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ მედიცინის ფაკულტეტზე. სალექციო პერიოდი 7 ოქტომბრიდან 29 თებერვლამდე იყო აღნიშნული. ხოლო 3 თებერვლიდან 15 თებერვლამდე იყო დასკვნითი გამოცდები, 15-დან 28-მდე იყო ს დამატებითი. ეს ტექნიკური ხარვეზი იყო თუ წესით სალექციო პერიოდი უნდა დასრულებულიყო 3 თებერვალს. ლაშა კანდელაკიშვილის განმარტებით, ეს ნამდვილად ტექნიკური ხარვეზი იყო და ეს გამოსწორებული იქნებოდა

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:28 საათზე.

სხდომა განახლდა 19:43 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3 000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტს (ს/კ: 201954956) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 000 -ით.

19:40 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს მოწვეული წევრები: ამირან გამყრელიძე და გია ნემსაძე.

შესაბამისად, სხდომაზე გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციაში ასევე აღნიშნული იყო რეკრეაციული სივრცეების არსებობის საჭიროება. ასევე კლინიკური სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების არსებობასთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია. კლინიკებში წარმოდგენილი იყო ასევე სივრცეები, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ დროის გატარება. თუმცა მნიშვნელოვანი იყო, რომ კლინიკებში დაკონკრეტებულიყო სტუდენტებისათვის გათვლილი დროები, ანუ რომელი უნივერსიტეტი როდის იკავებდა კლინიკის სივრცეებს, შექმნილიყო ერთგვარი დღის წესრიგი ამისთვის. საინფორმაციო რესურსთან დაკავშირებით უნივერსიტეტს გააჩნდა ელექტრონული პორტალი. ფინანსური რესურსი საკმაო რაოდენით იყო. თუმცა რესურსი მხოლოდ წარმოდგენილი იყო სტუდენტების გადასახადის სახით. ფინანსური რესურსების გადანაწილება ცოტა ბუნდოვანი იყო და უკეთესი იქნებოდა უფრო კონკრეტულად თუ იქნებოდა წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა გამწვანებასთან დაკავშირებით, რომ თვითონ შენობას გააჩნდა შიდა ეზო. სასტუმროს დამთავრებასთან ერთად ალბათ ეს ზონაც მოეწყობოდა. ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მოიჯარე როდესაც მეიჯარეს ფართს გადასცემდა, ასეთი წესი იყო, მას ასევე აღნიშნა, რომ პირველ რიგში, ცოტა გაუგებარი იყო ექსპერტების დასკვნაში ჩანაწერი „როგორც ჩანს“. ფინანსურ რესურსებთან მიმართებით გაუგებარი იყო ექსპერტთა დასკვნაში მოცემული მეშვიდე სტანდარტის ბოლო წინადადება, რადგან უნივერსიტეტს ან აქვს ფინანსური რესურსი ან არა. ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტები წერენ, რომ კვლევაზე არასაკმარისი თანხა იყო გამოყოფილი, როდესაც კვლევაზე 8667 ლარია გამოყოფილი. ასევე ფინანსური გეგმა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი. მათ ფინანსურ ანგარიშში საერთო ჯამში 26 000 ლარი იყო კვლევაზე მოცემული, ხოლო დასკვნაში აღნიშნულია რომ ცოტა იყო. დასკვნაში წერია, რომ სტრატეგიული მიზნებისთვის აღებული თანხა არ შეესაბამებოდა ფინანსურ ანგარიშში აღნიშნულ თანხას. უნივერსიტეტის მიერ გაკეთებული მოგება-ზარალი და ექსპერტთა მიერ გაკეთებული კალკულაცია სხვადასხვას გვეუბნებოდა. კარგი იქნებოდა ეს ზუსტი ყოფილიყო. ძალიან დიდი სხვაობა იყო ექსპერტების მიერ გაკეთებულ და უნივერსიტეტის მიერ გაკეთებულ კალკულაციებში.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა ექსპერტებს მიმართა, რომ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ვიზიტის დროს, „ექსპერტებს არ აჩვენეს“ კომპიუტერული ობიექტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა სტუდენტებისთვის კლინიკურ ობიექტებზე, საბჭოს წევრმა მოითხოვა დაკონკრეტება - ექსპერტებმა მოითხოვეს სტუდენტებისათვის გათვლილი კომპიუტერების ნახვა კლინიკებში და ამის ჩვენება არ მოხდა, თუ უბრალოდ კომპიუტერული ობიექტები კლინიკებში არ იყო. ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ კლინიკებში კომპიუტერული ობიექტები არ უნახავთ, ასევე დასკვნა ინგლისურად იყო დაწერილი, შესაბამისად შესაძლოა ტექსტში ყოფილიყო თარგმანის შეცდომა.

მან დამატებით აღნიშნა, რომ კლინიკებში იყო რამოდენიმე კომპიუტერი, რომელზე წვდომაც უბრალოდ იმ კლინიკებში, რომლებითაც სხვა სტუდენტებიც სარგებლობდნენ, საჭირო იყოშემდგარიყო ცხრილი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა სტუდენტების დაშვება კომპიუტერებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გამორჩათ კლინიკებში კომპიუტერული ობიექტები ექსპერტებისთვის ეჩვენებინათ და ექსპერტებსაც აღარ მოუთხოვიათ.

დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით დასკვნაში ანიშნული იყო, რომ ავრასიის დოკუმენტაცია იყო გადმოღებული. ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებით, ეს დოკუმენტი შექმნილი იყო 2018 წლის დეკემბერში და ცენტრში ასევე წარდგენილი იყო 2018 წლის 2 აპრილს, როდესაც ავრასიას დოკუმენტი შექმნილი იყო 2018 წლის აგვისტოში, შესაბამისად, ეს პირიქით იყო.

მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ასახული ე.წ. screenshot-ების ჩართვა იქნებოდა საინტერესო. ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა ლალი გიორგიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რამოდენიმე მაგალითი, სადაც ჩანდა რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლი ემთხვეოდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მე-8 მუხლს, რომელიც მოცემული იყო ბმულზე <http://dl.sangu.edu.ge/pdf/2018maregulirebeliax.pdf>, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური მართვის სახელმძღვანელოში თავი „პრობლემის იდენტიფიკაცია“ ემთხვეოდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ტექსტის ნაწილს, რომელიც მოცემული იყო ბმულზე <https://openscience.ge/bitstream/1/70/1/Irakli%20Chubinidze.pdf>; ამავე სახელმძღვანელოში თავი „მმართველობითი ფუნქციების კატალოგიზაციის შესახებ“ ემთხვეოდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „მართვისა და ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიის“ დოკუმენტის მე-5 მუხლს (მმართველობითი ფუნქციების შესახებ), და მე-6 მუხლს ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ეტაპების შესახებ, რომელიც მოცემულია ბმულზე https://www.seu.edu.ge/uploads/files/documents_new/strategia/martvisa-da-organizaciuli-ganvitarebis-strategia.pdf. ასევე, ამავე სახელმძღვანელოში თავი ადამიანური რესურსების მართვის შესახებ (ძირითადი ფუნქციები, სახელმძღვანელო პრინციპები და ა.შ.) ემთხვეოდა საჯარო სამსახურის ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს ტექსტის ნაწილს, რომელიც მოცემული იყო ბმულზე <http://csb.gov.ge/uploads/Human-Resource-Management-Manual.pdf> და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ დოკუმენტებში არ იყო მოცემული ინფორმაცია გამოყენებული წყაროების შესახებ.

საბჭოს წევრმა ქეთევან ცხადაძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა პრობლემა არ ყოფილიყო დაწესებულების მიერ რეგულაციის გადაწერა ან მეთოდოლოგიის გამოყენება და რომ ეს ვერ ჩაითვლებოდა პლაგიატად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, ექსპერტებს, საბჭოს წევრებს. რაიმე კითხვის ნიშანი ხომ არ იყო, რომელიმე საკითხი ხომ არ იყოს ამოუწურავი. მოწვეული საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ რაიმეს დამატების სურვილი.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20:05 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 20:29 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ზეპირ მოსმენაზე საბჭომ იმსჯელა საკმაოდ დეტალურად და ყოველმხრივ განიხილა, როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ასევე დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და დაწესებულების მიერ ზეპირ მოსმენაზე გამოთქმული მოსაზრებები. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაფიქსირებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ მესამე სტანდარტის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში მიზანშეწონილი იყო გაუმჯობესებულიყო და 3.3. კომპონენტი შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან და მე-7 სტანდარტის 7.4 კომპონენტი გაუმჯობესდებოდა და გახდებოდა მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. შესაბამისად, ვინაიდან მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, არსებული რეგულაციის მიხედვით, დაწესებულებას დაუწესდებოდა სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრისა და სტუდენტთა მიღების უფლების 1 წლის ვადით შეზღუდვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -26

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 2¹ პუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3¹ პუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1¹ პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 404535810) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 1 წლის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 20:40 საათზე.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე



მდივანი

ნინო ხოლუაშვილი

